განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში გლდანის რაიონში, ხერგიანის ქ,#1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების, **მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე,**

განმარტება:

(2011წლის # 21/06/2017წ ცვლილება) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (ქალაქმშენებლობის) პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (ქ.თბილისში გლდანი ხერგიანის ქ,# 1 ნაკვეთის ფართით საცხოვრებელი ზონა -3, 1492 მ2, ამ ზონის დადგენილი კ2-კოეფიციენტია 1,5)ხოლო , საცხოვრებელი ზონა -6 რომლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლებია: (სზ-6 კ2=2,5)

ქ. თბილისის მერის 19/9/2011 წ. #2101 განკარგულებით, აგრეთვე წერილი 02/03/2015 წ, # 1703408 გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმათაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზრვრა (19/9/2011 წ, #2101 განკარგულებით კ2=3,5, რა დროისთვისაც მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ,მ განისაზღვრებოდა 20 ლარით.
2012 წლის 20 მარტს #01/661 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და გაიცა მშენებლობის ნებართვა,

ფორმულა:

თანახმად ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის #7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება ფორმულით

$$X=L:K2\ (K2^{1}-(K2+K2_{20\%})\ )\ x\ S$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა , L არის 1კვ,მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი, K2 არის მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $K2^{1}$ არის მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი , S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი , $K2_{20\%}$ არის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ანგარიში

საცხოვრებელი ზონა -3 სზ-3

33819=20/1,5(3,5-(1,5+0,3))X1492

საცხოვრებ

ელი ზონა-6 სზ-6

2308=20/2,5(3,5-(1,5+0,5))X577

სულ შეთანხმებულ პროექტზე მოსაკრებლის ოდენობა 36,127 ლარი ქ,თბილისის

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 30 იანვრის 2015 წლის ბრძანება #215

ქ,თბილისში ხერგიანის ქ,#1 არსებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2= 4,5

ანგარიში:

საცხოვრებელი ზონა -3 სზ-3

53712=20/1,5(4,5-(1,5+0,3))X1492

საცხოვრებელი ზონა-6 სზ-6

6924=20/2,5(4,5-(1,5+0,5))X577

სულ 53,712+6,924=60,636 ლარი აქედან :

ე,ი 36,127 ლარი შეთანხმებული პროექტის მოსაკრებლის ოდენობა

24,509 ლარი კორექტირებული პროექტის მოსაკრებლის ოდენობა

გთხოვთ, განიხილოთ თანხის განწილვადების საკითხ ი და მოგვცეთ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი დასკვნა განწილვადების გრაფიკის მიხედვით

I კვარტალი----------15159ლარი

II კვარტალი----------15159ლარი

III კვარტალი----------15459ლარი

IVკვარტალი----------15459ლარი

შ.პ.ს. "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"

საიდ/კ 405181146 ტელ.+9957403300

განცხადება

შ.პ.ს " სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ის დირექცია იღებს ვალდებულებას 2020 წლის 1 იანვრამდე ,ექსპლუატაციაში იქნას მიღებული "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი",რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი ხერგიანის ქ.№1 (მშენებლობის ნებართვა №01/661 20.03.2012წ)

დირექტორი / ნოდარ მაღლაკელიძე/

დანართი

რწმუნება გაცემულია ნანა დიაკონიძეზე
პ/ნ 01010005425
ნოტარიუსის მოქმედების რეგისტრაციის
№ 161098926

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდასამ სექტემბერს მე, ნოტარიუსს ნიკოლოზ მალაშხიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა ნოდარი მაღლაფერიძემ, მან განაცხადა, რომ არის შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს დირექტორი და მოითხოვა ნანა დიაკონიძისათვის (დაბადებული 26. 07. 1959წ. პირადი № 01010005425, მცხ. ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. № 26, ბ. 48) შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს სახელით შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: ნოდარი მაღლაფერიძე – დაბ. 16. 07. 1951წ., პირადი № 01017020362, მცხ. ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორპ. 6, ბ. 40. მე შევამოწმე ნოდარი მაღლაფერიძის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს შესახებ, ამონაწერის მომზადების თარიღი: 05/07/2016 17:25:15, საიდენტიფიკაციო კოდი: 400028910, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25/10/2011, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორპ. 6, ბ. 40. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წაუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდასამ სექტემბერს, ამ მინდობილობით შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-მ (ს/კ № 400028910) მისი დირექტორის ნოდარი მაღლაფერიძის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც “საკუთრების მიმნდობი”, ნანა დიაკონიძეს, შემდგომში წოდებული, როგორც “მინდობილი მესაკუთრე” მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია იყოს საკუთრების მიმნდობის წარმომადგენელი საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ დაწესებულებებში, მათ შორის სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურებში, ნებისმიერ სამშენებლო კომპანიაში, ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციის კომპანიებში. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია შეიტანოს განცხადება, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ცნობები და სხვა დოკუმენტები, აიღოს მშენებლობის, მიშენების, დაშენების, რეკონსტრუქციის ნებართვა და პროექტი, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მიიღოს ამონაწერი, საკადასტრო გეგმა და ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის შესახებ საჯარო რეესტრიდან, საჭიროების შემთხვევაში აიღოს ახომვითი ნახაზი, მათ შორის ელექტრონული ვერსია, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს კანონითნებადართული ხელშეკრულებები ნებისმიერ სამშენებლო კომპანიასთან მშენებლობასთან დაკავშირებით, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.
2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
3. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი 2 დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს შესახებ;
2. შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს წესდება, ამოღებულის სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან ელექტრონული დოკუმენტის სახით.

4. სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 გადახდილია 10.0 ლარი და მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 12.0 ლარი.

შპს „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი“-ს

დირექტორი ----------

ნოტარიუსი

ნოტარიუსი ნიკოლოზ მალაშხია NOTARY NIKOLOZ MALASHKHIA 62004000581

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

48913869480516

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161098926

რეგისტრაციის თარიღი

23.09.2016 წ

ნოტარიუსი: ნიკოლოზ მალაშხია
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
ტელეფონი: 2377321; მობ: 599561242

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18